

## სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს სტრატეგიული გეგმა

**ხედვა:** საქართველოში კანონშემოქმედებითი პროცესის მაღალი დინამიურობის პირობებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესის ყველა მონაწილე მაღალი პროფესიონალიზმითა და კეთილსინდისიერებით გამოირჩეოდეს. ამასთანავე, საჯარო სამსახური ორიენტირებული უნდა იყოს საზოგადოების ინტერესებზე და ამისათვის, საჯარო დაწესებულებებში უნდა განვითარდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის ისეთი კულტურა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ერთის მხრივ მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობა და მეორეს მხრივ - გამჭვირვალე ფუნქციონირება.

**მისია:** სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობებიც ორი ძირითადი მიმართულებისგან შედგება:

- კანონშემოქმედებით პროცესში დამასრულებელი ეტაპის განხორციელება (რეგისტრაცია, გამოქვეყნება, კოდიფიკაცია) და ქართული ნორმატიული აქტების სრული ბაზის შედგენა და განახლება. ამ მიმართულების წარმატებით განსახორციელებლად, საკანონმდებლო მაცნეს ძალისხმევა მიმართულია ერთის მხრივ ნორმატიული აქტების საქმისწარმოების სისტემის დასახვეწად და მეორეს მხრივ, შიდა ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლებისკენ;
- საზოგადოებისთვის ქართული ნორმატიული ბაზის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური ფორმით.

## SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• ოპერატიულობა (სწრაფი რეაგირება პრობლემებზე)</li> <li>• სანდოობა</li> <li>• სახელმწიფო მხარდაჭერა (სტატუსი)</li> <li>• სათანადოდ დაცული მონაცემთა ბაზა (არქივი)</li> <li>• კვალიფიციური კადრები</li> <li>• სწორი, ეფექტური დოკუმენტბრუნვა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ზოგიერთი ფაილის ვიზუალური ხარვეზი</li> <li>• საზოგადოებასთან ურთიერთობის ნაკლებადეფექტური სისტემა</li> <li>• ნორმატული ბაზა მხოლოდ ქართულ ენაზეა ხელმისაწვდომი</li> <li>• ნორმატული და სამართლებრივი აქტების ბეჭდური ვერსიები არ არის ხელმისაწვდომი</li> <li>• თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამდლების შეზღუდული შესაძლებლობა</li> <li>• საკუთარი საოფისე ფართის არქონა</li> <li>• სხვა ქვეყნების ანალოგიური ორგანოების საქმიანობაში დაგროვილი გამოცდილებისადმი შეზღუდული ხელმისაწვდომობა</li> <li>• თანამშრომელთა წახალისების სისტემის არ არსებობა</li> <li>• კოდიფიცირებული აქტების შედარების (ორი პარალელური ფანჯრის) სისტემის არქონა</li> </ul>
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• offline საძიებო სისტემა მომხმარებელთა რაოდენობის ზრდისა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად</li> <li>• კომენტარების მოდულის დახვეწა და მომხმარებლებში პოპულარიზაცია</li> <li>• სტამბის გამართვა და ბეჭდური გამოცემის განახლება - ბეჭდური სამართლებრივი ბაზრის ათვისება</li> <li>• მთარგმნელობითი ცენტრის ამოქმედება, ცნობადობის გაზრდა, მათ შორის ქვეყნის ფარგლებს გარეთაც</li> <li>• ნორმატული და სამართლებრივი აქტების მიმართ მზარდი საზოგადოებრივი ინტერესი</li> <li>• მობილური აპლიკაციები ცნობადობის გასაზრდელად</li> <li>• დონორებთან ეფექტური თანამშრომლობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსახლეობის არასაკმარისად ინფორმირებულობა</li> <li>• არაკომპეტენტური კომენტარები საზოგადოებისათვის ცნობილი და გავლენიანი პირების მხრიდან მაცნეს შესახებ</li> <li>• სამომავლოდ ვიზუალური და სამართლებრივი ხარვეზების გაჩენის პოტენციური შესაძლებლობა</li> <li>• ფინანსური შეზღუდვები, რომელიც გამოწვეულია შესყიდვების შესახებ კანონით</li> <li>• დაუძლეველი მდგომარეობის გამო საიტის შესაძლო დაბრკოლებები, როგორცაა საიტის გათიშვა, დაბლოკვა, გაქრობა და ა.შ.</li> </ul>

## გარემო ფაქტორების ანალიზი

- **პოლიტიკური ფაქტორი**
  - კანონშემოქმედებითი საქმიანობის დინამიურობა
  - ხშირი ცვლილებები კანონდებლობასა და ნორმატულ, სამართლებრივ ბაზაში
- **ეკონომიკური ფაქტორი**
  - კანონები უფასოდ არის ხელმიაწვდომი, რაც უარყოფითად აისახება გამოც ორგანიზაციის ფინანსური შემოსავლები შემცირდა
  - სტამბის ამოქმედება დამატებითი შემოსავალის წყარო უნდა გახდეს
  - დონორული დაფინანსების მოზიდვა შესაძლებელია
- **სოციალური ფაქტორი**
  - საზოგადოებრივი ინტერესი და მოლოდინი საკანონმდებლო მაცნეს მომსახურების მიმართ
  - ზოგადად, საჯარო სექტორის ორიენტირება მომხმარებლის ინტერესზე
- **ტექნოლოგიური ფაქტორი**
  - აქტების სტრუქტურირება და დალინკვა (HTML)
  - OFFLINE რედაქტორი
  - OFFLINE საძიებო სისტემა
  - კომენტარები - (კანონპროექტებსა და მოქმედ ნორმატიული აქტებზე)
  - კოდიფიცირებული აქტების შედარების (ორი პარალელური ფანჯრის) სისტემის არქონა
  - ვებგვერდის მობილური აპლიკაციის შექმნა
- **სამართლებრივი ფაქტორი**
  - საკანონმდებლო დონეზე საქმიანობის რეგულირება სრულყოფილია
  - მთავრობისა და პრეზიდენტის ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტების გამოქვეყნების ვალდებულება არ არსებობს, თუმცა, ამ აქტების მიმართ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს.

## სტრატეგიული მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

### სტრატეგიული მიზანი 1: საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდის ტექნიკური და ფუნქციური სრულყოფა

**შედეგი 1.1:** „საკანონმდებლო მაცნეს“ მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში აღმოფხვრილია ტექნიკური და სამართლებრივი ხარვეზები

**შედეგი 1.2:** მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომ სტრუქტურირებულ ნორმატულ აქტებში ინტეგრირებულია ბმულები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ნორმატულ აქტებში მითითებულ ყველა სხვა აქტზე გადასვლა

**შედეგი 1.3:** „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე ხელმისაწვდომია ტერორისტთა სისტემატიზირებული სია

**შედეგი 1.4:** „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდი ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე

**შედეგი 1.5:** „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე უზრუნველყოფილია საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების, ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებების, დისერტაციებისა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება

**შედეგი 1.6:** „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს დაარსებამდე გამოცემული ნორმატიული აქტები

**შედეგი 1.7:** „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე უზრუნველყოფილია ნორმატიული აქტების სხვადასხვა ვერსიების შედარების შესაძლებლობა

**შედეგი 1.8:** „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე უზრუნველყოფილია მომხმარებლების კომენტარების სორტირება და იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური პასუხების ნახვა

**შედეგი 1.9:** „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე დანერგილია თემატური გამოწერებისა და დარგობრივი კლასიფიკაციის სისტემა

### სტრატეგიული მიზანი 2: ნორმატული აქტების საქმისწარმოების სისტემის დახვეწა

**შედეგი 2.1:** სისტემის მომხმარებლები და საკანონმდებლო მაცნეს თანამშრომლები ნორმატული აქტების შედგენისა და კოდიფიცირებისათვის იყენებენ ტექნიკურად და ფუნქციურად სრულყოფილ ონლაინ რედაქტორს

**შედეგი 2.2:** სისტემის მომხმარებლებისათვის ხელმისაწვდომია ნორმატული აქტების შედგენის რედაქტორის პროგრამული უზრუნველყოფა - აპლიკაცია

**შედეგი 2.3:** დახვეწილი საკანონმდებლო ბაზა ითვალისწინებს ნორმატული აქტების შედგენის საქმისწარმოების გამარტივებული პროცესით წარმართვას

### **სტრატეგიული მიზანი 3: ნორმატული აქტების ბექდური ვერსიებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

**შედეგი 3.1:** „საკანონმდებლო მაცნეს“ სტამბა მომხმარებელთა ფართო წრისათვის უზრუნველყოფს კანონთა თემატური კრებულებისა და კოდექსების გამოცემას

**შედეგი 3.2:** „საკანონმდებლო მაცნეს“ სტამბა უზრუნველყოფს იურიდიული ლიტერატურის გამოცემასა და გავრცელებას

**შედეგი 3.3:** „საკანონმდებლო მაცნეს“ სტამბა უზრუნველყოფს იუსტიციის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებებისთვის საქმიანი ქაღალდების დამზადებასა და მიწოდებას

**შედეგი 3.4:** „საკანონმდებლო მაცნეს“ სტამბა პოლიგრაფიულ მომსახურებას უწევს ორგანიზაცია–დაწესებულებებს

## **სტრატეგიული მიზანი 4: შიდა ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლება**

**შედეგი 4.1:** საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტიანობა ამაღლებულია

**შედეგი 4.2:** თანამშრომელთა მოტივაციისა და პროფესიული განვითარების, აგრეთვე ზოგადად ადამიანური რესურსების მართვის სისტემა დახვეწილია

## **სტრატეგიული მიზანი 5: ნორმატული აქტების ინგლისურენოვანი ვერსიებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა**

**შედეგი 5.1:** მთარგმნელობითი ცენტრის დაკომპლექტება, ამუშავება და თარგმანის განთავსება მაცნეს ვებგვერდის ინგლისურენოვან ვერსიაზე;

**შედეგი 5.2:** ცენტრის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პროაქტიული თანამშრომლობა.

# strategi ul | Sedegebl s CarCo

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ 2013-2015 წლების მისია: სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობებიც ორი ძირითადი მიმართულებისგან შედგება:

- კანონშემოქმედებით პროცესში დამასრულებელი ეტაპის განხორციელება (რეგისტრაცია, გამოქვეყნება, კოდიფიკაცია) და ქართული ნორმატიული აქტების სრული ბაზის შედგენა და განახლება. ამ მიმართულების წარმატებით განსახორციელებლად, საკანონმდებლო მაცნეს ძალისხმევა მიმართულია ერთის მხრივ ნორმატიული აქტების საქმისწარმოების სისტემის დასახვეწად და მეორეს მხრივ, შიდა ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლებისკენ;
- საზოგადოებისთვის ქართული ნორმატიული ბაზის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური ფორმით.

